შპს „თბილისის მწვანე სკოლა“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „თბილისის მწვანე სკოლა“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები..... 5-32

შპს „თბილისის მწვანე სკოლა“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

	შენიშვნები	დასრულებული წელი 2019 წლის 31 დეკემბერი	დასრულებული წელი 2018 წლის 31 დეკემბერი
ამონაგები და შემოსავალი	5	3,858	3,038
საოპერაციო ხარჯები			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(2,076)	(1,688)
მოსწავლეთა კვება		(256)	(116)
კომუნალური მომსახურება		(79)	(58)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები		(76)	(18)
საკანცელარიო საქონლის ხარჯები		(48)	(33)
სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი	8	(64)	(65)
რემონტის ხარჯი		(36)	(22)
სხვა საოპერაციო ხარჯები	6	(171)	(195)
მოგება ფინანსური ხარჯის გაწევამდე, მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე და ცვეთის დარიცხვამდე		**1,052**	**843**
ცვეთა და ამორტიზაცია		(96)	(70)
მოგება ფინანსური ხარჯის გაწევამდე და მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე		**956**	**773**
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(265)	(109)
საპროცენტო ხარჯი	11	(310)	(206)
საპროცენტო შემოსავალი		7	5
არასაოპერაციო ხარჯები		(20)	-
მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე		**368**	**463**
მოგების გადასახადი	10	(13)	(33)
წლის მოგება		**355**	**430**
სხვა სრული შემოსავალი		–	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**355**	**430**

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შპს „თბილისის მწვანე სკოლა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	3,402	2,371	1,519
არამატერიალური აქტივები		7	9	12
სულ გრძელვადიანი აქტივები		**3,409**	**2,380**	**1,531**
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		–	9	2
სავაჭრო მოთხოვნები	8	115	70	36
გადახდილი ავანსები		28	8	1
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	517	381	369
სულ მიმდინარე აქტივები		**660**	**468**	**408**
სულ აქტივები		**4,069**	**2,848**	**1,939**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	–	–	-
დაგროვილი დანაკლისი		(1,717)	(1,999)	(2,241)
სულ კაპიტალი		**(1,717)**	**(1,999)**	**(2,241)**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი პროცენტიანი სესხები	11	3,946	3,178	3,380
გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებები აქტივების შესყიდვიდან	5	433	544	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**4,379**	**3,722**	**3,380**
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო დავალიანება		8	6	26
სავაჭრო ვალდებულებები		109	32	33
სახელშეკრულებო ვალდებულება	5	802	658	460
მოკლევადიანი პროცენტიანი სესხები	11	377	309	281
მოკლევადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებები აქტივების შესყიდვიდან	5	111	120	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**1,407**	**1,125**	**800**
სულ ვალდებულებები		**5,786**	**4,847**	**4,180**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**4,069**	**2,848**	**1,939**

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 16 ნოემბერს:

_____	_____
კახა დავითური დირექტორი	ბაკურ სულაკაური დირექტორი
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შპს „თბილისის მწვანე სკოლა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	3,402	2,371	1,519
არამატერიალური აქტივები		7	9	12
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,409	2,380	1,531
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		–	9	2
სავაჭრო მოთხოვნები	8	115	70	36
გადახდილი ავანსები		28	8	1
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	517	381	369
სულ მიმდინარე აქტივები		660	468	408
სულ აქტივები		4,069	2,848	1,939
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	–	–	-
დაგროვილი დანაკლისი		(1,717)	(1,999)	(2,241)
სულ კაპიტალი		(1,717)	(1,999)	(2,241)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი პროცენტიანი სესხები	11	3,946	3,178	3,380
გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებები აქტივების შესყიდვიდან	5	433	544	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,379	3,722	3,380
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო დავალიანება		8	6	26
სავაჭრო ვალდებულებები		109	32	33
სახელშეკრულებო ვალდებულება	5	802	658	460
მოკლევადიანი პროცენტიანი სესხები	11	377	309	281
მოკლევადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებები აქტივების შესყიდვიდან	5	111	120	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,407	1,125	800
სულ ვალდებულებები		5,786	4,847	4,180
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4,069	2,848	1,939

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით
2020 წლის 16 ნოემბერს

კახა დავრიშური
დირექტორი

თბილისი, საქართველო

ბაკურ სულაკაური
დირექტორი

თბილისი, საქართველო

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შპს „თბილისის მწვანე სკოლა“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი დანაკლისი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარი	**–**	**(2,241)**	**(2,241)**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	430	**430**
გამოცხადებული დივიდენდები (მე-10 შენიშვნა)	–	(188)	**(188)**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**–**	**(1,999)**	**(1,999)**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	355	**355**
გამოცხადებული დივიდენდები (მე-10 შენიშვნა)	–	(73)	**(73)**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**–**	**(1,717)**	**(1,717)**

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შპს „თბილისის მწვანე სკოლა“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათასი ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე		**368**	**463**
კორექტირებები:			
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		96	70
დებიტორულ დავალიანებებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი	8	64	109
საკურსო ზარალი		265	109
საპროცენტო ხარჯი	5	310	206
საპროცენტო შემოსავალი		(7)	(5)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**1,096**	**952**
სავაჭრო დებიტორული დავალიანების ზრდა	8	(109)	(143)
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსების ზრდა		(20)	(7)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების კლება		9	(7)
ზრდა საგადასახადო ვალდებულებებში		2	(20)
ზრდა სავაჭრო ვალდებულებებში		77	(1)
კლება სახელშეკრულებო ვალდებულებებში აქტივების შესყიდვიდან	5	(217)	-
ზრდა სახელშეკრულებო ვალდებულებაში	5	144	198
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები		**982**	**972**
მოგების გადახდილი გადასახადი	10	(13)	(33)
მიღებული პროცენტი	9	7	5
საოპერაციო საქმიანობებით გამომუშავებული წმინდა ფულადი სახსრები		**976**	**944**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(1,125)	(255)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(1,125)**	**(255)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
გადახდილი დივიდენდები	10	(73)	(188)
ამონაგები სესხებიდან		4,353	-
ნასესხები სახსრების დაფარვა		(3,750)	(275)
გადახდილი პროცენტი		(203)	(209)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**327**	**(672)**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**178**	**17**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		381	369
საკურსო სხვაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(42)	(5)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს		**517**	**381**

5-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შპს „თბილისის მწვანე სკოლა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თბილისის მწვანე სკოლა“ , საიდენტიფიკაციო კოდი: 401959528 (შემდგომში „კომპანია“), არის 2011 წლის 30 ივნისს საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია. მისი მშობელი კომპანიაა სს „ჯორჯია კაპიტალი“. კომპანიის საბოლოო მფლობელი და მაკონტროლებელი მხარეა შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალი“ (შემდგომში „ჯორჯია კაპიტალი“), გაერთიანებულ სამეფოში და ლონდონის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანია.

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს მისამართზე: საქართველო, თბილისი, ევგენი მიქელაძის ქუჩა 3ა.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის.

2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის პარტნიორები იყვნენ:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სს „ჯორჯია კაპიტალი“	80%	0%	0%
ბაკურ სულაკაური	10%	50%	50%
კახა დავითური	10%	50%	50%
სულ	**100%**	**100%**	**100%**

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

2.1 მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“-ები) და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად, ისტორიული ღირებულების კონვენციის გათვალისწინებით.
ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, გამჟღავნებულია მე-3 შენიშვნაში.
ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ მოამზადა ფასს (IFRS) 1-ის - *„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“* მოთხოვნების შესაბამისად და გამოიყენა ის სტანდარტები, ინტერპრეტაციები და პოლიტიკები, რომლებიც ძალაში იყო კომპანიის მიერ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირველი სრული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.1 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს პირველ სრულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც სრულად შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს („ფასს“-ები). კომპანიის მიერ ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და განაგრძობს ფუნქციონირებას განჭვრეტად მომავალში.

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ათას ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისად. პირვანდელი ღირებულება, როგორც წესი, ეყრდნობა საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ გაღებული საზღაურის სამართლიან ღირებულებას.

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების ძირითადი პრინციპები:

(ა) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე- და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე- და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(ბ) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია წარმოადგენს მომხმარებლებისთვის სასწავლო მომსახურებების გამწევ ბიზნესს.

კომპანია ამონაგების აღიარებას ახდენს იმ მომენტში, როდესაც მომსახურებებზე კონტროლი გადაეცემა კლიენტს იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამგვარი საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

შესასრულებელი მოვალეობა წარმოადგენს საქონელს და მომსახურებებს (ან საქონლის ან მომსახურებების ნაკრებს), რომლებიც განცალკევებულია, ან განცალკევებული საქონლის ან მომსახურებების სერიებს, რომლებიც არსებითად მსგავსია. კონტროლის გადაცემა დროის განმავლობაში ხდება, ხოლო შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში შესაბამისი შესასრულებელი მოვალეობის სრულად დაკმაყოფილებაზე მიმართებით, თუ დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ მოცემულიდან ერთ-ერთი კრიტერიუმი:

- კლიენტი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიის მიერ უზრუნველყოფილ სარგებელს, კომპანიის ფუნქციონირების პროცესში;
- კომპანიის ფუნქციონირებისას იქმნება ან იხვეწება აქტივი, რომელსაც კომპანია აკონტროლებს ფუნქციონირების პროცესში; ან
- კომპანიის ფუნქციონირებისას არ იქმნება აქტივი კომპანიისთვის ალტერნატიული სარგებლობისთვის და კომპანიას აქვს აღსრულებადი უფლება გადახდაზე, კონკრეტულ თარიღში დასრულებული მომსახურებისთვის.

სხვა შემთხვევაში შემოსავალი აღიარდება დროის იმ მომენტში, როდესაც კლიენტი მიიღებს კონტროლს განცალკევებულ საქონელზე ან მომსახურებაზე.

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის საქონლის ან მომსახურების კლიენტისთვის გადაცემის ვალდებულებას, რომლისთვისაც კომპანიას კლიენტისგან მიღებული აქვს ანაზღაურება (ან გადახდა მომავალში მოხდება).

ერთ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო აქტივი და სახელშეკრულებო ვალდებულება აღირიცხება და წარედგინება წმინდა საფუძველზე.

ქვემოთ მოცემული გადახდები შემოსავლის კონკრეტულ ნაკადებს შეესაბამება:

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავალი სწავლებიდან

კომპანიის ხელშეკრულებას კლიენტებთან ერთწლიანი ვადა აქვს, ავტომატურად გახანგრძლივების ფუნქციით. სკოლას არ აქვს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლება და იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე არ გაახანგრძლივებს ხელშეკრულებას, ჯარიმა არ ირიცხება, შესაბამისად, კომპანიას მიაჩნია, რომ ხელშეკრულების თითოეული გახანგრძლივება ცალკე ხელშეკრულებას წარმოადგენს.

კომპანია მოსწავლეებს სთავაზობს სასწავლო პროცესს რამდენიმე მომსახურების ნაკრების სახით, რომლებსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არეგულირებს, ასევე დამატებით მომსახურებებს, რომლებსაც კომპანიის ხელმძღვანელობა შესაბამისად მიიჩნევს. იმის შეფასების შემდეგ, თუ რა შემავალი რესურსებია საჭირო კომპანიისთვის კომბინირებული ნაწარმის - სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ სასწავლო პროცესი მოიცავს გაკვეთილებს, გამოცდებს, ტესტებს და შესაბამის მასალებს, ასევე, საჭიროებიდან გამომდინარე, გახანგრძლივებულ სასწავლო საათებს. ეს მომსახურებები ერთდროულად ქმნიან საქონლისა და მომსახურებების განცალკევებულ ნაკრებს, რომლებიც ქმნიან შემოსავალს სწავლების ღირებულების სახით.

სწავლების ღირებულების სახით შემოსავალი დროთა განმავლობაში აღიარდება წრფივი დარიცხვის მეთოდით, აკადემიური წლის განმავლობაში სკოლაში სასწავლო პროცესის დღეების ზუსტი რაოდენობის გათვალისწინებით.

შემოსავალი კვების მომსახურებიდან

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კვების მომსახურებებს, სადაც პირველიდან მეექვსე კლასამდე მოსწავლეებისთვის კვება სწავლების ღირებულებაშია გათვალისწინებული, ხოლო უფრო მაღალი კლასის მოსწავლეები კვების ღირებულებას ცალკე იხდიან, კაფეტერიის სალაროში. ხელმძღვანელობის აზრით, კვების მომსახურება განცალკევებულია, რადგან მოსწავლეებს შეუძლიათ ამ მომსახურებით თავად ისარგებლონ, ან ეს მომსახურება ცალკე იდენტიფიცირებადია ხელშეკრულების კონტექსტში.

პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით მოსწავლეებისთვის კვების მომსახურებიდან შემოსავალი დროთა განმავლობაში აღიარდება წრფივი დარიცხვის მეთოდით, აკადემიური წლის განმავლობაში სკოლაში სასწავლო პროცესის დღეების ზუსტი რაოდენობის გამოყენებით. სხვა მოსწავლეებისთვის, კვების მომსახურებიდან შემოსავალი აღიარდება საკვების შეძენის მომენტში.

შემოსავალი სახელმწიფო გრანტიდან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყველა ლიცენზირებულ სკოლაზე გასცემს წლიურ ვაუჩერებს. წლიური თანხაა 0.3 ლარი ერთ მოსწავლეზე და ის ნაწილდება ყოველი თვის ბოლოს, როდესაც შესასრულებელი მოვალეობა უკვე დაკმაყოფილებულია.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია მისი პირვანდელი ღირებულებით, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების ერთეულების პირვანდელი ღირებულება მოიცავს (ა) მის შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტის მოსაკრებელს და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო ფასდათმობების და ფასდაკლებების შემდეგ; (ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ერთეულის საჭირო ადგილზე და მდგომარეობაში მოყვანას, კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დაგეგმილი წესით ფუნქციონირებისთვის; (გ) ერთეულის დემონტაჟისა და ტერიტორიიდან გატანის, ასევე იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯების თავდაპირველ შეფასებას, რომელზედაც ამგვარი ერთეული იყო განთავსებული, (დ) ვალდებულებას, რომელსაც კომპანია გასწევს ერთეულის შეძენისას ან კონკრეტული პერიოდის განმავლობაში ერთეულის გამოყენების შედეგად, ამ პერიოდის განმავლობაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების წარმოების მიზნისაგან განსხვავებული მიზნით, და (ე) სესხით სარგებლობის დანახარჯებს კვალიფიციური აქტივებისთვის, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

შემდგომი დანახარჯები შესულია აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივის სახით, ვითარებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდოა, რომ ერთეულთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და ერთეულის ღირებულება სათანადო სიზუსტით შეიძლება შეფასდეს. გამოცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და ტექნიკური მომსახურების ყველა სხვა ხარჯი მოგებაში ან ზარალში აღირიცხება იმ ფინანსური პერიოდის განმავლობაში, რომელშიც მათი გაწევა ხდება.

ამის შემდეგ, კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს კეთილმოწყობისა და გამოცვლის ძირითად დანახარჯებს, რომლებიც აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას ახანგრძლივებს ან ზრდის შემოსავლის წარმომქმნელ სიმძლავრეს. შეკეთების და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კაპიტალიზაციის არსებულ კრიტერიუმებს, გაწევისთანავე აისახება მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია დაირიცხება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ამორტიზებული თანხის ჩამოწერის გზით. კომპანიის ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
ძირითადი საშუალებების კატეგორიები	
შენობები	30-35 წელი
აღჭურვილობა	6-10 წელი
კომპიუტერული ტექნიკა და შესაბამისი აღჭურვილობა	6-10 წელი
ავეჯი და მოწყობილობები	6-10 წელი
სხვა	3-10 წელი

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ამორტიზებული თანხა ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულებაა, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა ამ აქტივის გაყიდვით, რასაც აკლდება გაყიდვის სავარაუდო ხარჯები, იმ შემთხვევაში, თუ აქტივები უკვე იმ სიძველისა და იმ მდგომარეობაშია, როგორც ეს მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივის ნარჩენი ღირებულებაა ნული, თუ კომპანია მოელის აქტივის გამოყენებას მისი ფიზიკური მომსახურების ვადის დასრულებამდე.

საბალანსო უწყისის შედგენის თითოეულ თარიღში გადაიხედება და, საჭიროების შემთხვევაში, იცვლება აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები. წინა შეფასებებში ნებისმიერი ცვლილების გავლენა პერსპექტიულად აღირიცხება, სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილების შესაბამისად.

აქტივის გასხვისების ან ექსპლუატაციიდან ამოღების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და სრულ შემოსავალში.

დაუმთავრებელი მშენებლობა წარმოადგენს ძირითადი საშუალებების მშენებლობასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. დაუმთავრებელ მშენებლობაზე ცვეთა არ ირიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ერთეულების მსგავსად, დაუმთავრებელ მშენებლობაზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ მომენტში, როდესაც აქტივები გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ხდება, ე.ი. ისინი იმ ადგილმდებარეობაზე და მდგომარეობაში მოვა, რაც საჭიროა ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული დანიშნულებისამებრ მათ გამოსაყენებლად.

(დ) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების ადმინისტრაციულ ხარჯებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ცვალებად ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს ექვემდებარება. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის კომპანიის მენეჯმენტის ინტერპრეტაცია შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო უწყებების ინტერპრეტაციებისგან და შედეგად, კომპანია შესაძლოა გახდეს დამატებითი გადასახადების, ჯარიმების და პროცენტის დარიცხვის საგანი. საგადასახადო წლები ღია რჩება სამი წლის განმავლობაში საგადასახადო უწყებების მიერ გადასახედად. ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიამ ყველა გადასახადი გადაიხადა, შესაბამისად წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვი არ შექმნილა.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- როდესაც შეუძლებელია საგადასახადო ორგანოებიდან ბრუნვიდან იმ გადასახადის დაბრუნება, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა; ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი ბრუნვიდან გადასახადის ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც საგადასახადო დავალიანება, გარდა მოგების გადასახადისა ან ავანსად გადახდილი გადასახადებისა მოგების გადასახადის გამოკლებით, ვითარებიდან გამომდინარე.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა გადასახადთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე წარმოადგენს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან კომპანიის მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით.

ფულადი მუხლების დაფარვით ან კონვერტაციით გამოწვეული სხვაობები აისახება მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ ფულადი ერთეულებისა, რომლებიც კომპანიის წმინდა ინვესტიციის ჰეჯირების ნაწილად განისაზღვრება უცხოურ ოპერაციებში. ისინი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში წმინდა ინვესტიციების ჩამოწერამდე, როდესაც ხდება მთლიანი თანხის რეკლასიფიკაცია მოგება-ზარალსა და სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში ასევე აისახება ამ ფულადი მუხლების საკურსო სხვაობებზე მიკუთვნებული დარიცხული გადასახადი და კრედიტები.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული შემოსულობის და ზარალის აღიარების შესაბამისად (ანუ თუ მუხლების სამართლიანი ღირებულების მოგება ან ზარალი აღიარებულია სრულ შემოსავალში ან მოგებაში ან ზარალში, შესაბამისად, მათზე საკურსო სხვაობებიც სრულ შემოსავალსა თუ მოგებაში ან ზარალში აისახება).

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივების ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს შესაბამისი აქტივების, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანია თითოეულისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურებას დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე გამოითვლის. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ოთხწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის აღდგენით ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი აღდგენის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც აღდგენა აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ზ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის საწყის ანგარიშგებაში მოიცავს ნაღდ ფულს ბანკში და სალაროში, ასევე მოკლევადიან მაღალ ლიკვიდურ დეპოზიტებს თავდაპირველი სამთვიანი ან ნაკლები დაფარვის ვადით, რომლებიც მარტივად კონვერტირდება ფულადი სახსრების ცნობილ ოდენობად, ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკის გათვალისწინებით.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან და მოკლევადიანი ანაბრებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, რასაც აკლდება საბანკო ოვერდრაფტები, რადგან ისინი ითვლება კომპანიის ფულადი სახსრების მართვის განუყოფელ ნაწილად.

(თ) ანარიცხები

ანარიცხები აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ასევე შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება. თუ კომპანია მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

წამგებიანი ხელშეკრულებები

თუ კომპანიას აქვს წამგებიანი ხელშეკრულება, მიმდინარე სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარდება და ფასდება ანარიცხის სახით. ამასთან, წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხის დადგენამდე, კომპანია აღიარებს ნებისმიერ გაუფასურების ზარალს, რომელიც წარმოიშვება შესაბამის სახელშეკრულებო აქტივზე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

წამგებიანი ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული აურიდებელი დანახარჯები (ე.ი. ხარჯები, რომელთა თავიდან არიდება კომპანიას არ შეუძლია ხელშეკრულების გამო) აღემატება მასთან დაკავშირებით მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის რაოდენობას. ხელშეკრულების საფუძველზე აურიდებელი დანახარჯები ასახავს ხელშეკრულებიდან გასვლის საბოლოო წმინდა დანახარჯს, რომელიც მისი შესრულების ღირებულებაზე და მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ნებისმიერი კომპენსაციის ან ჯარიმის თანხაზე ნაკლებია. ხელშეკრულების შესრულების დანახარჯი მოიცავს ხელშეკრულებასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს (ე.ი. ნაზარდ დანახარჯებს და სახელშეკრულებო საქმიანობებთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გადანაწილებას).

(ი) დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება მფლობელების კაპიტალში შემცირების სახით იმ პერიოდში, როდესაც მათი გამოცხადება ხდება. საანგარიშგებო თარიღის შემდეგ გამოცხადებული დივიდენდები წარმოადგენს ანგარიშგების თარიღის შემდგომ მოვლენას და შესაბამისად აღირიცხება.

(კ) სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

ისეთი აქტივის შეძენისთვის, აგებისა თუ წარმოებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხის მიღების ხარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც აქტივის ღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად. სესხის მიღების ხარჯი შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომლებსაც კომპანია გაიღებს სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

(ლ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

(მ) პირობითი ვალდებულებები და აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივები არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა ისინი განხილულია ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის მიღება.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ნ) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ განხორციელებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

(ო) თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ. 2019 წლის 1 იანვრიდან კომპანია სახელმწიფო საპენსიო სააგენტოში საპენსიო გადახდებს ახორციელებს თანამშრომელთა მთლიანი ხელფასების და სარგებლის 2%-ის ოდენობით. კომპანია პასუხს არ აგებს
დასაქმების შემდგომ სარგებლებზე.

(პ) ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მისი დარიცხვისას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებამდე.

(ჟ) გარიგებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან ყველა გარიგება ფასდება თვითღირებულებით, თუ სხვა რამეს არ ითვალისწინებს ფასს სტანდარტები, მაგალითად ფასს (IFRS) 9 *„ფინანსური ინსტრუმენტები.* იმ შემთხვევაში, თუ გარიგებები არ შეიცავს საზღაურს, მაშინ მათი ღირებულება ნულით ფასდება.

(რ) მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები

მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები თვითღირებულებით აღირიცხება, სავარაუდო უიმედო თანხების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგ არის მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, პირველადი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ს) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის კომპანიისეულ ბიზნეს-მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ნაწილში (ბ) („ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ორგანიზაცია ის საკუთარ ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები);
- მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები (მე-3 შენიშვნა).
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება (მე-8 შენიშვნა).

კომპანია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანალიზს ინდივიდუალურ საფუძველზე ატარებს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 90 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ კომპანია სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მიერ ჩატარებული ნებისმიერი კრედიტის ანალიზის ჩატარებამდე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და კრედიტორული დავალიანება, ვითარებიდან გამომდინარე.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას, ასევე პროცენტიან სესხებს.

შემდგომი შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დარიცხული ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგების ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია ზოგადად ეხება პროცენტიან სესხებს.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგების ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება იმავე კრედიტორის სხვა ვალდებულებით, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის მიმდინარე უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

(ტ) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე;
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს კომპანიისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან მისი მიყიდვით ბაზრის სხვა მონაწილისათვის, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება საბაზრო მონაცემები და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემები.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ან ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება ნაწილდება ქვემოთ წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით 1-ელ დონეში: კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე, მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.

3. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების გამოთქმას და შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რაც გავლენას ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარმოდგენილი შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე და პირობითი ვალდებულებების განმარტებით შენიშვნებზე. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

ეს შეფასებები და საბაზისო მოსაზრებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა ამ შეფასების გადახედვა, თუ გადახედვა გავლენას ახდენს მხოლოდ ამ პერიოდზე, ან გადახედვის პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

სააღრიცხვო პოლიტიკებთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი განსჯა

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსური ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის დაშვებებზე, რომლებიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრაში გათვალისწინდება შემდეგი უპირატესი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი სარგებლობა; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რაც საბაზრო პირობების ცვლილებებიდან წარმოიქმნება. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების დაკორექტირება.

3. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს კლიენტების მიერ საჭირო გადახდების განხორციელების ან მიმწოდებლების მიერ შეთანხმებული პროდუქტების ან მომსახურებების მიწოდების შეუძლებლობით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ასახვის მიზნით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე მთლიან ეკონომიკურ პირობებს, დებიტორული დავალიანებების და ავანსების ნაშთების დაძველებას, წარსული ჩამოწერის გამოცდილებას, კლიენტისა და მიმწოდებლის გადახდისუნარიანობას და გადახდის პირობების ცვლილებებს. ცვლილება ეკონომიკაში, ინდუსტრიაში ან კონკრეტული კლიენტის და მიმწოდებლის პირობებში შესაძლოა საჭიროებდეს ფინანსური ანგარიშგებაში ასახული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას. განსჯის საფუძველზე 168 ლარი (2018 წ.: 2,014 ლარი) წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნის რეზერვის მთლიან თანხას, საბალანსო უწყისის შედგენის თარიღისთვის.

სახელშეკრულებო ვალდებულებები აქტივების შესყიდვიდან

სკოლის 2012 წლის 28 სექტემბრით დათარიღებული ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილება მოიცავს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან პირველკლასელების მიღების ვალდებულებას მომდევნო 8 წლის განმავლობაში და მათთვის უფასო საგანმანათლებლო მომსახურებების გაწევას სკოლის დამთავრებამდე. ანარიცხის თანხამ 2019 წელს 544 ლარი შეადგინა (2018 წ.: 664 ლარი). კომპანია აფასებს ერთ მოსწავლეზე საშუალო მოსალოდნელ დანახარჯს უფასო საგანმანათლებლო მომსახურებებისთვის და აღიარებს შესაბამის ანარიცხს. აქტივის შემენიდან წარმოშობილი სახელშეკრულებო ვალდებულების შემცირება წლის განმავლობაში შემოსავალში აღიარდება (2019 წ.: 216 ლარი). ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული შესაბამისი დანახარჯები 96 ლარს შეადგენს.

4. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია არ გეგმავს ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღებას ფინანსური ანგარიშგებაში, რადგან ისინი პირდაპირ არ მოქმედებენ კომპანიის ფასს-ების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების პირველ სრულ ნაკრებზე. ვითარებიდან გამომდინარე, კომპანია მათ მიიღებს ძალაში შესვლისას.

ქვემოთ მოცემულია გამოცემული და ძალაში ჯერ არ შესული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც კომპანიას არ შეესაბამება ან რომელთა გავლენასაც კომპანია აფასებს:

- ფასს (IFRS) 17 *„სადაზღვევო ხელშეკრულებები“*;
- ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში: *„საქმიანობის განსაზღვრა“*;
- ცვლილებები ბასს (IAS) 1-სა და ბასს (IAS) 8-ში: *„ტერმინის „არსებითი“ განმარტება“*.

5. ამონაგები და შემოსავალი

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი სწავლებიდან	3,460	2,625
შემოსავალი დამატებითი გაკვეთილებიდან	46	63
სასადილოებში განხორციელებული გაყიდვები	38	48
სხვა შემოსავალი	21	32
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**3,565**	**2,768**
შემოსავალი სახელმწიფო გრანტიდან	293	270
სულ ამონაგები და შემოსავალი	**3,858**	**3,038**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მიმდინარე ანგარიშგების პერიოდში აღიარებული ამონაგების თანხა, რომელიც შესულია სახელშეკრულებო ვალდებულებებში და აქტივის შეძენიდან მიღებულ სახელშეკრულებო ვალდებულებაში, საანგარიშგებო წლის დასაწყისში:

სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

კომპანიამ აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სავაჭრო მოთხოვნები (ა)	115	70	36
სახელშეკრულებო ვალდებულებები (ბ, გ)	1,346	1,332	460

(ა) სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ მე-8 შენიშვნა, ამ ფინანსური ანგარიშგების სავაჭრო მოთხოვნების ნაწილი.

(ბ) მოსწავლეებისგან მიღებული სწავლების ღირებულება ზოგადად ავანსად გადაიხდება სწავლის დაწყებისას და თავდაპირველად აღიარდება სახელშეკრულებო ვალდებულების სახით. ამონაგები აღიარდება შესაბამისი სასწავლო ვადის პროპორციულად, აკადემიური დღეების გათვალისწინებით. მოსწავლეებისგან მიღებული, მაგრამ ჯერ გამოუმუშავებელი სწავლების ღირებულება აღირიცხება სახელშეკრულებო ვალდებულებების სახით და აისახება მიმდინარე ვალდებულებად, რადგან ამგვარი თანხები წარმოადგენს ამონაგებს, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ერთი წლის განმავლობაში მოგებაში ან ზარალში ასახვის მიზნით.

(გ) 2019 წლის 31 დეკემბერს აქტივის ნასყიდობიდან წარმოქმნილი სახელშეკრულებო ვალდებულების თანხა 544 ლარის ოდენობით (2018 წ.: 664 ლარი) უკავშირდება 2011 წელს კომპანიის მიერ სახელმწიფოსგან აქტივების შეძენის ფარგლებში ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებას. კომპანია ვალდებულია უფასო საგანმანათლებლო მომსახურებები გაუწიოს მოსწავლეთა კონკრეტულ რაოდენობას. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივის შეძენიდან წარმოშობილი სახელშეკრულებო ვალდებულების მიმდინარე წილი 111 (2018 წ.: 120 ლარი), ხოლო გრძელვადიანი წილი 433 ლარს (2018 წ.: 544 ლარი) შეადგენს.

6. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
დასუფთავების ხარჯი	47	47
კაფეტერიაში გაყიდული საქონლის თვითღირებულება	25	45
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	23	17
სხვა ხარჯები	76	86
	171	**195**

7. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა-ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა და შესაბამისი აღჭურვილობა	ავეჯი და მოწყობილობები	სხვა აქტივები	სულ
თვითღირებულება							
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**1,527**	–	**5**	**61**	**128**	**95**	**1,816**
შესყიდვები	845	–	22	20	25	7	919
გადატანები	–	–	–	–	–	–	**–**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,372**	**–**	**27**	**81**	**153**	**102**	**2,735**
შესყიდვები	131	836	48	6	79	25	**1,125**
გადატანები	836	(836)	–	–	–	–	**–**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,339**	**–**	**75**	**87**	**232**	**127**	**3,860**
დაგროვილი ცვეთა							
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**163**	–	**1**	**24**	**43**	**66**	**297**
წლის დანარიცხი	29	–	1	8	13	16	67
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**192**	**–**	**2**	**32**	**56**	**82**	**364**
წლის დანარიცხი	51	–	4	10	18	11	**94**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**243**	**–**	**6**	**42**	**74**	**93**	**458**
ნარჩენი საბალანსო ღირებულება							
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**1,364**	–	**4**	**37**	**85**	**29**	**1,519**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,180**	–	**25**	**49**	**97**	**20**	**2,371**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,096**	–	**69**	**45**	**158**	**34**	**3,402**

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითად საშუალებებში შესული იყო 79 ათასი ლარის და 59 ათასი ლარის ღირებულების (შესაბამისად) სრულად ამორტიზებული აქტივები.

ყველა არსებული ძირითადი საშუალება უზრუნველყოფის სახით იყო დაგირავებული იპოთეკური საბანკო სესხის ფარგლებში (იხილეთ მე-11 შენიშვნა) კომპანიას არ აქვს უფლება ეს აქტივები დააგირაოს უზრუნველყოფის სახით, სხვა სესხებისთვის ან მიჰყიდოს ისინი სხვა საწარმოს, ბანკის ნებართვის გარეშე.

8. სავაჭრო მოთხოვნები

2019 წლის 31 დეკემბერს, 2018 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 1 იანვარს სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები იყო შემდეგი:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
მისაღები სწავლების ღირებულება	248	158	69
სხვა დებიტორული დავალიანებები	35	16	6
	283	**174**	**75**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(168)	(104)	(39)
	115	**70**	**36**

31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით ასეთია:

2019 წლის 31 დეკემბერი	არა ვადაგადაცილებული	30-დან 90 დღემდე	90-დან 180 დღემდე	სულ
მთლიანი შეფასებული მოსალოდნელი დეფოლტირებული საბალანსო ღირებულება	66	36	181	**283**
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	0%	8%	91%	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	3	165	**168**

2018 წლის 31 დეკემბერი	არა ვადაგადაცილებული	30-დან 90 დღემდე	90-დან 180 დღემდე	სულ
მთლიანი შეფასებული მოსალოდნელი დეფოლტირებული საბალანსო ღირებულება	70	–	104	**174**
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	0%	8%	100%	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	–	104	**104**

2018 წლის 1 იანვარი	არა ვადაგადაცილებული	30-დან 90 დღემდე	90-დან 180 დღემდე	სულ
მთლიანი შეფასებული მოსალოდნელი დეფოლტირებული საბალანსო ღირებულება	36	–	39	**75**
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	0%	8%	100%	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	–	39	**39**

დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება და ისინი როგორც წესი იფარება 0-დან 30 დღემდე ვადაში.

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნაშთები იყო შემდეგი:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში ადგილობრივ ვალუტაში	–	5	6
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში ადგილობრივ ვალუტაში	455	370	325
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში უცხოურ ვალუტაში	62	6	38
	517	**381**	**369**

მიმდინარე ანგარიშებს პროცენტი ერიცხებათ. საპროცენტო შემოსავლებმა ბანკებში განთავსებულ თანხებზე 2019 წელს 7 ლარი შეადგინა, ხოლო 2018 წელს - 5 ლარი. კომპანიის ნაღდი ფული დაცულია ბანკში, რომელსაც 2019 და 2018 წლებში ჰქონდა გარე რეიტინგი BB+.

10. საწესდებო კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი 0,1 ლარით განისაზღვრა, რომელიც ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნით ნულამდე დამრგვალდა.
2019 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 73 ლარის ოდენობით დივიდენდები და აღიარა 13 ლარის ოდენობით დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯი განაწილების თანხის 15/85 ოდენობით.
2018 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 188 ლარის ოდენობით დივიდენდები და აღიარა 33 ლარის ოდენობით დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯი განაწილების თანხის 15/85 ოდენობით.

11. პროცენტიანი სესხები

2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სესხების ნაშთები იყო შემდეგი:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
მიმდინარე	377	309	281
გრძელვადიანი	3,946	3,178	3,380
სულ	**4,323**	**3,487**	**3,661**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრები მოიცავდა ევროში გამოხატულ სამ სესხს საქართველოს ბანკისგან. სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის ყველა არსებული ძირითადი საშუალებით (იხილეთ მე-7 შენიშვნა). ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული შესაბამისი ხარჯი 2019 წლის ფინანსური წლის განმავლობაში 213 ლარს შეადგენდა, ხოლო 2018 წლის განმავლობაში ფინანსურმა ხარჯმა 206 ლარი შეადგინა.

12. ფინანსური ინსტრუმენტები

კაპიტალის მართვა

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან.

კომპანიაზე არ ვრცელდება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები. კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

ფინანსური რისკის მართვის მიზნები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება პროცენტიანი სესხებისა და სავაჭრო ვალდებულებებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობების დაფინანსება. კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს, რომლებსაც ის პირდაპირ თავისი ოპერაციებიდან იღებს.

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კრედიტზე სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიისთვის დამახასიათებელი სავალუტო რისკი ძირითადად უკავშირდება ნასესხებ სახსრებს.

კომპანიის უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგია.

	2019 წლის 31 დეკემბერი		2018 წლის 31 დეკემბერი		2018 წლის 1 იანვარი	
	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.8677 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.2095 ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.0701 ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.1044 ლარი
ფინანსური აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	–	62	6	–	38	–
ფინანსური აქტივები, სულ	**–**	**62**	**6**	**–**	**38**	**–**
ფინანსური ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	–	4,323	3,487	–	3,661	–
სულ ფინანსური ვალდებულებები	**–**	**4,323**	**3,487**	**–**	**3,661**	**–**
მთლიანი ნეტო პოზიცია	**–**	**(4,261)**	**(3,481)**	**–**	**(3,623)**	**–**

12. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სავალუტო რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ანალიზი ითვლის ლარის მიმართ სავალუტო კურსების სავარაუდო ცვლილებების ეფექტს მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის შემთხვევაში. ცხრილში უარყოფითი რიცხვები ასახავს პოტენციურ ნეტო შემცირებას მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ან კაპიტალში, ხოლო დადებითი რიცხვები - პოტენციურ ნეტო ზრდას.

2019	სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება	გამყარება	გაუფასურება
ევრო	10.00%	(426)	426

2018	სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება	გამყარება	გაუფასურება
აშშ დოლარი	10.00%	(348)	348

2017	სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება	გამყარება	გაუფასურება
აშშ დოლარი	10.00%	(362)	362

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ მოძრაობაზე ან სამართლიან ღირებულებებზე. თუმცა, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები არ ახდენს გავლენას კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების არცერთ კომპონენტზე. ყველა პროცენტიან სესხს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები და შესაბამისად კომპანია არ დგას საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე ამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.

საკრედიტო რისკის მართვა

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი სავაჭრო მოთხოვნების, ასევე ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამო.

12. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მართვა (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ნაშთები მოიცავს სწავლის ღირებულების სახით შემოსავლის მოთხოვნებს. კომპანიის საკრედიტო რისკზე გავლენას ძირითადად ახდენს თითოეული კლიენტის ინდივიდუალური გადახდისუნარიანობა. კომპანია ყველა ამ დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს მართავს დებიტორებთან რეგულარული კომუნიკაციით. მნიშვნელოვანი შეფერხებების შემთხვევაში, კომპანია კლიენტისთვის ადგენს სწავლის მისაღები საფასურის ინდივიდუალურ გადახდის გრაფიკს.

მიმდინარე ანგარიშზე და მოკლევადიან ანაბრებზე განთავსებული ფულადი სახსრები

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, სადაც ანაბრები აქვს განთავსებული, ასევე ყოველდღიურად კონტროლდება ძირითადი კლიენტებისა და შესაბამისი დებიტორული დავალიანების სტატუსიც.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის, საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა 632 ლარს (2018 წლის 31 დეკემბერს: 451 ლარი) უტოლდებოდა.

ლიკვიდურობის რისკის მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს შესაბამისი რეზერვების, საბანკო ობიექტების და სარეზერვო საკრედიტო ხაზების უზრუნველყოფით, ასევე საპროგნოზო და ფაქტიური ფულადი ნაკადების მუდმივად მონიტორინგის და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების სტრუქტურის შედარებით.

კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მოიცავს ისეთ არაფულად ვალდებულებას, როგორიც არის სახელშეკრულებო ვალდებულებები და აქტივის ნასყიდობიდან წარმოქმნილი სახელშეკრულებო ვალდებულებები (913 ლარი). სახელმწიფოს მიმართ კომპანიის ვალდებულების მიმდინარე წილი მოსწავლეების უფასოდ მისაღებად 111 ლარს შეადგენს. კომპანიის დარჩენილი მიმდინარე ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 494 ლარს შეადგენს (სავაჭრო ვალდებულებები, საგადასახადო ვალდებულებები და პროცენტიანი სესხები), რომელიც კომპანიის ლიკვიდურ მოკლევადიან აქტივებზე (სავაჭრო მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები) ნაკლებია და 660 ლარს შეადგენს.

12. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია კომპანიის დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები მისი არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებებისთვის შეთანხმებული დაფარვის პერიოდებით. ცხრილების შედგენა მოხდა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, უადრეს თარიღში, როდესაც კომპანიას შეუძლია მოითხოვოს გადახდა. ცხრილები მოიცავს ფულადი ნაკადების პროცენტსაც და ძირ თანხასაც. იმის გათვალისწინებით, რომ პროცენტის ნაკადები ცვალებადი განაკვეთის არის, არადისკონტირებული თანხა მომდინარეობს საპროცენტო განაკვეთის მრუდეებიდან ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. სახელშეკრულებო დაფარვის ვადები ეფუძნება უახლოეს თარიღს, როდესაც კომპანიისგან შესაძლოა მოითხოვონ გადახდა.

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, %	მოთხოვ-ნამდე	3 თვეზე ნაკლები	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5+ წელი	სულ	საბალანსო ღირებულება
2019 წლის 31 დეკემბერი								
უპროცენტო	–	31	–	78	–	–	**109**	109
ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	5%	48	95	428	2,282	2,582	**5,435**	4,323
		79	**95**	**506**	**2,282**	**2,582**	**5,544**	**4,432**
2018 წლის 31 დეკემბერი								
უპროცენტო	–	12	–	–	20	–	**32**	32
ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	5%	42	85	382	2,040	1,955	**4,504**	3,487
		54	**85**	**382**	**2,060**	**1,955**	**4,536**	**3,519**
2018 წლის 1 იანვარი								
უპროცენტო	–	13	-	-	20	-	**33**	33
ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	5%	41	82	370	1,976	1,893	**4,362**	3,661
		54	**82**	**370**	**1,996**	**1,893**	**4,395**	**3,694**

12. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ თანხის დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. ამასთან, ამ გაურკვევლობების გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების გაყიდვისას ან ვალდებულებების შესრულებისას.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი (სავაჭრო მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები) და ვალდებულება (სავაჭრო ვალდებულებები) ხასიათდება მოკლევადიანობით და შესაბამისად მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. რადგან ნასესხები სახსრების მიღება მოხდა 2019 წლის მეორე ნახევარში (საბალანსო უწყისის შედგენის თარიღთან ახლოს), მათი საბალანსო ღირებულება სამართლიან ღირებულებას არის მიახლოებული.

13. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებების შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არია მოცემული:

	2019 წლის 31 დეკემბერი		
	სხვა დაკავშირებული მხარეები (ა)	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სულ
სავაჭრო ვალდებულებები	20	–	**20**

	2018 წლის 31 დეკემბერი		
	სხვა დაკავშირებული მხარეები (ა)	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სულ
სავაჭრო ვალდებულებები	20	–	**20**

	2018 წლის 1 იანვარი		
	სხვა დაკავშირებული მხარეები (ა)	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სულ
სავაჭრო ვალდებულებები	20	–	**20**

(ა) სხვა დაკავშირებულ მხარეს ფლობს კომპანიის უმცირესობის კუთვნილი წილის მფლობელი. სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ წარმოადგენს საგანმანათლებლო მასალებისთვის ვალდებულებებს.

2019 წელს აღიარებული შესაბამისი დანახარჯი 20 ლარს შეადგენს, ხოლო 2018 წელს იგივე ხარჯი 15 ლარს შეადგენდა.

13. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

კომპანიის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

ხელმძღვანელობის ზედა რგოლის ანაზღაურება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის 305 ლარს შეადგენდა, ხოლო 2018 წლის განმავლობაში იგივე ხარჯმა 127 ლარი შეადგინა.

14. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის მარტის თვეში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (კოვიდ-19) გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. არსებობს პანდემიით გამოწვეული გლობალური შენელების მასშტაბების და ქართულ ეკონომიკაზე მისი გავლენის განსაზღვრასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა. პირველად კოვიდ-19-ით ინფიცირების ფაქტი დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. საქართველოს მთავრობამ გაატარა კორონავირუსის გავრცელების შემაკავებელი რამდენიმე ღონისძიება, რომლებსაც მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური გავლენა ჰქონდა. კომპანია აკონტროლებს კოვიდ-19-ის გავრცელების გავლენას მის საქმიანობაზე, კლიენტებსა და თანამშრომლებზე და იცავს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ყველა ოფიციალურ სახელმძღვანელო მითითებას, რათა დაიცვას თავისი ხალხი და უზრუნველყოს საქმიანობის უწყვეტობა. კომპანია კოვიდ-19-ის ეპიდემიის აფეთქებას მიიჩნევს საბალანსო უწყისის შემდგომ შეუცვლელ მოვლენად.

კოვიდ-19-ის ეპიდემიის აფეთქების შემდეგ შეცვლილ გარემოსთან ადაპტირების მიზნით, კომპანიამ დისტანციური სწავლება დანერგა. დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით საოპერაციო ხარჯების შემცირების გათვალისწინებით, კომპანიამ მოსწავლეებს შესაბამისი ფასდაკლებები შესთავაზა. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდვები 2020-2021 სასწავლო წელზეც გავრცელდება, კომპანია გეგმავს დისტანციურად ფუნქციონირებას და მოსწავლეებისთვის საფასურის შემცირებას, დისტანციური სწავლების გამო საოპერაციო დანახარჯების შემცირების პროპორციულად.